ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის შესახებ

საქართველო, ქ. თბილისი 2012 წლის 27 მარტი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მთავრობა წარმოდგენილი ქ.თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პრივატიზების სამსახურის უფროსის კონსტანტინე ვაშაყმაძის სახით (შემდგომში - მეიჯარე) და მეორეს მხრივ შპს „თბილისი პარკი" (ს/კ: 404911789) წარმოდგენილი მისი დირექტორის თომას რიჩარდ ბლეიკის სახით (შემდგომში - მოიჯარე), (ცალ-ცალკე წოდებული როგორც – „მხარე", ხოლო ერთად – „მხარეები"), ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. საერთო ნორმები

1. ხელშეკრულების საგანი
1.1 მხარეები ამ ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან, რომ მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საიჯარო ქონებას, ხოლო მოიჯარე თავის მხრივ მეიჯარეს უხდის ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ საიჯარო ქირას.
1.2 საიჯარო ქონებას წარმოადგენს:
1.2.1 ამ ხელშეკრულების დადების დღისთვის, მეიჯარის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მათზე მდგარი შენობებით და მათ ქვეშ არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით (კანალიზაცია გაყვანილობა, ელექტროენერგია და ყველა სხვა);
1.2.2 საბაგირო გზისა (საკადასტრო კოდი: 01.15.01.003.004, 01.15.05.003.032.01.500, 01.15.05.003.047, 01.15.06.001.016, 01.15.07.006.022, 01.15.06.001.002) და ფუნიკულიორის (საკადასტრო კოდი: 01.15.06.001.011, 01.15.06.001.012, 01.15.07.002.006, 01.15.01.004.002, 01.15.08.004.002, 01.15.06.001.021, 01.15.01.004.003 და ქ. თბილისის მერიიის მიერ 01.15.06.001.001 საკადასტრო კოდზე უზუფრუქტის უფლებით მიღებული ქონება კერძოდ: ქ. თბილისში, მთაწმინდის ზედა პლატოს, ზედა სადგურზე მდებარე შპს "ჯი-ემ-თი მთაწმინდა"-ს საკუთრებაში არსებული შენობის (რესტორანი მთაწმინდა) ის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია ფუნიკულიორის ზედა სადგური. (უზუფრუქტის უფლებით სარგებლობაში გადაცემული ქონება განთავსებულია რესტორან მთაწმინდას შენობის პირველ სართულზე 27,2 კვ.მ. ფართი და სარდაფში არსებული 255,58 კვ.მ. ფართი. ქონების მთლიანი ფართი შეადგენს 282,78 კვ. მეტრს. ხელშეკრულებას თან ერთვის გეგმა, რომელზეც ქონება აღნიშნულია წითელი ფერით (დანართი №1, დანართი2, დანართი №3.)) არსებული და ამ ხელშეკრულების შესაბამისად მათი რეაბილიტაციის შედეგად შექმნილი ქონება;.
1.2.3 ამ ხელშეკრულების 1.2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაგირო გზის ქვედა სადგურის ან/და საბაგიროს გზის ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი საჭირო ბოძების ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია დასახელებული საბაგირო გზის ქვედა სადგურის ან/და ბოძების ნაცვლად საიჯარო ქონების სახით მოიჯარეს იჯარით გადასცეს ახლადაშენებული სადგური ან/და დამონტაჟებული ბოძები, საქართველოს კანონმდებლობის

ქ. თბილისი ... ა ხ ლ ი

შესაბამისად მათი ფუნქციონირების დაწყებისთანაეე, საიჯარო ქირის ოდენობის შეუცვლელად.
1.3. ყველა ის ქონება რაც შეიქმნება მოიჯარის მიერ დაფინანსებული თანხებით უნდა შედიოდეს საიჯარო ქონებაში საიჯარო ქირის გაზდრის გარეშე.

2. ხელშეკრულების ვადა
2.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.
2.2. ამ ხელშეკრულებას მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით წარადგენს მოიჯარე გაფორმებიდან და ნოტარიალურად დამოწმებიდან არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა. საჯარო რეესტრში რეგისტრაცია გულისხმობს ამ ხელშეკრულებით განსაზღერული მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაციას (საიჯარო ქონებაში შემავალ ყველა მიწის ნაკვეთსა და სხვა ქონებაზე).

3. საიჯარო ქირა და მისი გადახდის წესი
3.1 საიჯარო ქირა შეადგენს 550 000 (ხუთასორმოცდაათიათასი) ლარს წლიურად (შემდგომში - საიჯარო ქირა). საიჯარო წლის ათვლა დაიწყება ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, ხოლო საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად ყოველ 6 (ექვს) თვეში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი ექვსთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით. საიჯარო ქირის დარიცხვა დაიწყება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, ამასთან საიჯარო ქირის გადახდა დაიწყება მხოლოდ ამ ხელშეკრულების 4.1.4 ქვეპუნქტის შესაბამისად.
3.2. მოიჯარის მიერ 4.1.4 ქვეპუნქტის შესაბამისად გადახდილი თანხა ჩაითვლება მის მიერ გადასახდელ საიჯარო ქირის ანგარიშში.
3.3 მხარეები თანხმდებიან, რომ საიჯარო ქირა არ ექვემდებარება ცვლილებას მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების 3.2. პუნქტის შესაბამისად წინასწარ გადახდილი საიჯარო პერიოდისთვის.
3.4. მოიჯარის მიერ, ამ ხელშეკრულების 3.2. პუნქტის შესაბამისად წინასწარ გადახდილი საიჯარო პერიოდის ამოწურვის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიწის ნორმატიული ფასის გაზრდის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია გაზარდოს საიჯარო ქირა არაუმეტეს ნორმატიული ფასის ოდენობისა, რის შესახებაც მეიჯარე ამ ხელშეკრულებით განსაზღერული წესით, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, ატყობინებს მოიჯარეს. წერილობითი შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებაში ამ ცვლილების გაუფორმებლობის შეთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში მოიჯარეს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი თანხები ან/და მის მფლობელობაში პარკის ტერიტორიაზე განთავსებული ქონება, მას უფლება არ ექნება მოითხოვოს ზიანის, კომპენსაციის ან სხვა ნებისმიერი სახის ანაზღაურება როგორც ფულადი ფორმით, ასე ნატურით. იმ შემთხვევაში თუ, მოიჯარის მიერ წინასწარ გადახდილი საიჯარო პერიოდის ამოწურვის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ დგინდება მიწის ნორმატიული ფასი, ამ პუნქტით დადგენილი წესით საიჯარო ქირის გაზრდა შესაძლოა განხორციელდეს საბაზრო ღირებულების (რომელიც დადგინდება საერთაშორისოდ აღიარებული აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე) გათვალისწინებით.

3.5 ამ მუხლით განსაზღვრული საიჯარო ქირის ცვლილების შემთხვევაში, გადახდის წესი დარჩება იგივე თუ მხარეები არ შეთანხმდებიან გადახდის სხვაგვარი პერიოდულობის შესახებ, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.
3.6 საიჯარო ქირის გადახდა მოიჯარეს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან.
3.7 ნებისმიერი ხარჯი რომელიც მოიჯარის მიერ მხარეთა შეთანხმებით იქნება გაწეული ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაგიროს ან/და ფუნიკულიორის რეაბილიტაციის მიზნით ჩაითვლება საიჯარო ქირაში.
3.8 გარდა ზემოაღნიშნულისა, მოიჯარე ვალდებულია საიჯარო ქირის სახით გადაუხადოს მეიჯარეს თანხა, რომელიც შეადგენს 2012 წლის 19 მარტს მოიჯარეს, შპს „მთაწმინდის პარკსა" (ს.კ: 204547641) და შპს „ინტერნეიშენელ ემიუზმენტ პარკს" (ს/კ 204569706) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით წარმოშობილი დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციის შედეგად ჩათვლის დოკუმენტის საფუძველზე მიღებულ დღგ-ს თანხის ოდენობას. გადახდა უნდა განხორციელდეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაბრუნების შემდეგ. გადახდა განხორციელდება, მხოლოდ ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხის ოდენობით. ამასთან მოიჯარე ვალდებულია დადგენილი წესით მოითხოვოს აღნიშნული დღგ-ს თანხის დაბრუნება 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან და ეკრძალება ამ თანხის სხვა დღგ-ს დასაბეგრ ოპერაციებში ჩათვლა.

II. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4. მოიჯარის ვალდებულებები
4.1 მოიჯარე ვალდებულია:
4.1.1 განახორციელოს ანგარიშსწორება მეიჯარესთან ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული წესით და პირობებით;
4.1.2 თუ მხარეები სხვაგვარად წერილობით არ შეთანხმდებიან:
ა) მეიჯარის მიერ ფუნიკულიორის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელების მიზნით, წარუდგინოს მეიჯარეს ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისი უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია შემდეგი წესით:

- 2012 წლის 12 აპრილამდე წარუდგინოს მეიჯარეს საბანკო გარანტია 2 688 000 (ორი მილიონ ექვსასოთხმოცდარვა ათას) შვეიცარიულ ფრანკზე „Garaventa"-სა და მეიჯარეს შორის გაფორმებული №WAA0002466 კონტრაქტის მე-5 მუხლით მეიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულების (მეიჯარის მიერ „Garaventa"-სთვის 2 688 000 (ორი მილიონ ექვსასოთხმოცდარვა ათასი შვეიცარული ფრანკის გადახდის ვალდებულება) უზრუნველსაყოფად);
- 2012 წლის 30 მაისამდე წარუდგინოს მეიჯარეს საბანკო გარანტია 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ევროს ეკვივალენტ ლარზე, მეიჯარის მიერ ფუნიკულორის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის მიზნით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახდის დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

ბ) მეიჯარის მიერ საბაგირო გზის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის (Doppelmayr, Leitner, Pomagalski), ასევე მასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების (მათ

THOMAS RICHARD BLAKE

შორის დღგ, სხვა გადასახადები და გადასახდელები, სატრანსპორტო ხარჯები, ელექტრო-მექანიკური და სამშენებლო სამუშაოები, მონტაჟი, მოიჯარის პერსონალის ტრეინინგი და ყველა სხვა, რათა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოხდეს ფუნიკულიორისა და საბაგირო გზების ექსპლუატაციაში მიღება) განხორციელებაზე გაფორმებული კონტრაქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საბაგირო გზის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის შესახებ კონტრაქტის (Doppelmayr, Leitner, Pomagalski) გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში წარუდგინოს მეიჯარეს ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისი უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია. ამ საბანკო გარანტიის მაქსიმალური თანხა არ უნდა აჭარბებდეს 8 560 000 (რვა მილიონ ხუთასსამოცი ათასი) ევროს მინუს ზემოთაღნიშნული კონტრაქტით (Doppelmayr, Leitner, Pomagalski) გათვალისწინებული საავანსო გადასახდელები. ამასთან ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარდგენის ვალდებულება მოიჯარეს არ ეკისრება 2012 წლის 1 აგვისტომდე.

4.1.3 ამ ხელშეკრულების მთელი ვადის მანძილზე უზრუნველყოს პარკის პროფილის შენარჩუნება, განახორციელოს მისთვის გადაცემული და შემდგომში შევსებული საიჯარო ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა და უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის ნორმების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის:

4.1.3.1. ამ ხელშეკრულების ვადის განმავლობაში საიჯარო ქონების ინვენტარი შეინარჩუნოს, იქონიოს და შეავსოს იმ მოცულობით და იმ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება მოწესრიგებულ მეურნეობას.

4.1.3.2. პარკის ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, მოახდინოს არსებული გასართობი ატრაქციონებისა და ზოგადი ინფრასტრუქტურის სისტემატიური შემოწმება, ხოლო საჭიროებისამებრ - განახლება და რეაბილიტაცია;

4.1.3.3 უზრუნველყოს 7.1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად მისთვის გადაცემული საბაგირო გზისა და ფუნიკულიორის სისტემატიური შემოწმება, მისი ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, ხოლო საჭიროებისამებრ - განახლება, რეაბილიტაცია და უსაფრთხო ექსპლუატაცია აღნიშნული ქონების ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად;

4.1.3.4 მოახდინოს პარკის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ან/და ამ ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომავალში აშენებული შენობა-ნაგებობების აღდგენა, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, მისი განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში;

4.1.3.5 საიჯარო ქონების ტერიტორიაზე თავის შეხედულებისამებრ იქონიოს სამედიცინო დახმარების პუნქტი, კეების პუნქტები, სველი წერტილები, ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

4.1.3.6 უზრუნველყოს საიჯარო ქონების ტერიტორიაზე მწვანე ნარგაჟების სათანადო წესით მოვლა-პატრონობა და არ დაუშვას მათი განადგურება, ხოლო თუ ამგვარი აუცილებლობა გამოწვეულია ამ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე (როგორიცაა ავტოსადგომის გაფართოება ან სხვა), მაშინ იგი ვალდებულია სანაცვლოდ, საკუთარი სახსრებით გაამწვანოს იგივე ფართობის ტერიტორია „საიჯარო ქონების" ტერიტორიის ფარგლებში, მეიჯარესთან შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებობის შესაბამისად;

4.1.3.7 მოახდინოს საიჯარო ქონების სისტემატიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროული გატანა;

THOMAS RICHARD BLAKE

4.1.3.8 საიჯარო ქონება შეინარჩუნოს ნორმალურ მდგომარეობაში და არ დაუშვას მისი მდგომარეობის (ტექნიკური, ფუნქციური და ხარისხობრივი) გაუარესება ჩვეულებრივი ცვეთის გათვალისწინებით.

4.1.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ფუნიკულიორისა და საბაგირო გზის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის (ფუნქციონირების აღდგენის) მიზნით მოიჯარის მიერ განხორციელდება საიჯარო ქირის წინასწარ გადახდა შემდეგი პირობებით:

ა. ფუნიკულიორის ფუნქციონირების აღდგენასთან დაკავშირებით (მეიჯარის „Garaventa" გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მოიჯარე):

- 2012 წლის 5 აპრილამდე მეიჯარეს გადაუხდის 1 152 000 (ერთი მილიონ ასორმოცდათორმეტი ათასი) შვეიცარიული ფრანკის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;
- 2013 წლის 25 აპრილამდე მეიჯარეს გადაუხდის 1 536 000 (ერთი მილიონ ხუთასოცდათექვსმეტი ათასი) შვეიცარიული ფრანკის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;
- 2013 წლის 25 დეკემბრამდე მეიჯარეს გადაუხდის 1 152 000 (ერთი მილიონ ასორმოცდათორმეტი ათასი) შვეიცარიული ფრანკის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;
- მოიჯარემ ასევე უნდა უზრუნველყოს მეიჯარის მიერ ფუნიკულორის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის მიზნით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებისა (მათ შორის დღგ, სხვა გადასახადები და გადასახდელები, სატრანსპორტო ხარჯები, ელექტრო-მექანიკური და სამშენებლო სამუშაოები, მონტაჟი, მოიჯარის პერსონალის ტრეინინგი და ყველა სხვა, რათა მოხდეს ფუნიკულიორისა და საბაგირო გზების ექსპლუატაციაში მიღება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით), და მასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახდის დაფინანსება მეიჯარის მიერ გაფორმებული კონტრაქტებისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში.

ბ. საბაგირო გზის ფუნქციონირების აღდგენასთან დაკავშირებით:

- მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს მეიჯარის მიერ საბაგირო გზის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციისა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების (მათ შორის დღგ, სხვა გადასახადები და გადასახდელები, სატრანსპორტო ხარჯები, ელექტრო-მექანიკური და სამშენებლო სამუშაოები, მონტაჟი, მოიჯარის პერსონალის ტრეინინგი და ყველა სხვა, რათა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოხდეს ფუნიკულიორისა და საბაგირო გზების ექსპლუატაციაში მიღება), ასევე მასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახდის დაფინანსება მეიჯარის მიერ გაფორმებული კონტრაქტებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში, მაგრამ ამასთან მოიჯარის მიერ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულება (საბაგირო გზის რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის დაფინანსების ვალდებულება) არ წარმოიშვება 2012 წლის 1 აგვისტომდე.

გ. ამ პუნქტით გათვალისწინებული საბაგირო გზისა და ფუნიკულიორის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის მოიჯარის მიერ დაფინანსების მაქსიმალური

THOMAS RICHARD BLAKE

ობა, შესაბამისად მოიჯარის მიერ წინასწარ გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობა არ შეიძლება იყოს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ევროზე მეტი.

4.1.5 მხარეთა შეთანხმებით, მოიჯარე ვალდებულია ფუნიკულიორისა და საბაგირო გზით მგზავრობის ფასთა ნუსხაში (pricelist) ასახოს 50%-იანი ფასდაკლება მთაწმინდის პარკის იმ ვიზიტორთათვის, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ ფენას, იმ პირობით, რომ მეიჯარე უზრუნველყოფს მოიჯარისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის გადაცემას ანდა ამ ბაზასთან მოიჯარის შეუზღუდავ წვდომას.

4.1.6 გადაიხადოს ფაქტობრივ მფლობელობაში საიჯარო ქონების გადაცემის დღიდან წარმოშობილი ყველა სახის კომუნალური გადასახდელი, მათ შორის წყლის, ელექტროენერგიის, გაზის და დასუფთავების გადასახდელები;

4.1.7 მეიჯარეს წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია (ანგარიში) და მოთხოვნილი დოკუმენტაცია (ასლი) მხოლოდ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ და მეიჯარის მიერ კონკრეტულად ჩამოყალიბებული კითხვარის შესაბამისად მისი წერილობითი მოთხოვნიდან, არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დოკუმენტაციის წარდგენა აღნიშნულ ვადაში პატივსადები მიზეზების გამო შეუძლებელია ან მოთხოვნილი დოკუმენტი არ არის შექმნილი, რის შესახებაც მოიჯარემ უნდა აცნობოს მეიჯარეს. ამასთან მოიჯარეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქართველოს კანონმდებლობით მას ასეთი დოკუმენტის შენახვის ვალდებულება ეკისრება;

4.1.8 მოიჯარე იღებს ვალდებულებას, საიჯარო ტერიტორიაზე დაუშვას მეიჯარის უფლებამოსილი წარმომადგენელი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ვიზუალური ინსპექტირების განხორციელების მიზნით. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მოიჯარის მიერ აღნიშნული ვალდებულება შესრულებულად ითვლება (მეიჯარის წერილობითი მოთხოვნიდან 20 (ოცი) დღის ვადაში) მოიჯარის მიერ შესაბამისი დოკუმენტის (ნებართვის) გაცემის შემდეგ;

4.1.9 უზრუნველყოს პარკის ტერიტორიაზე მოსახლეობის უფასო შესვლა მოიჯარის მიერ დადგენილი პარკის სამუშაო საათების განმავლობაში. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. პარკის ტერიტორიაზე მოსახლეობის უფასო შესვლა გულისხმობს მოსახლეობის ყოველგვარი სასყიდლის გარეშე ფიზიკური დაშვების უფლებას პარკის ტერიტორიაზე და არ გულისხმობს პარკის ტერიტორიაზე განთავსებული ატრაქციონებით, სატრანსპორტო საშუალებებით და პარკის ინფრასტრუქტურაში შემავალი სხვადასხვა ობიექტებით ან/და ამ ობიექტების მომსახურებით უსასყიდლო სარგებლობას;

4.1.10. საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას კვალიფიკაციის გათვალისწინებით;

4.1.11. უზრუნველყოს მეიჯარის და მისი ნებისმიერი დაქირავებული პირის ან/და ქონების დაცვა ნებისმიერი ზიანისაგან, ზარალისა და მოთხოვნისაგან, რომელიც კი შესაძლოა მომდინარეობდეს მისი დაქირავებული პერსონალის ან მისთვის გადაცემულ საიჯარო ქონებაზე მყოფი ან/და ამ ობიექტებით მოსარგებლე ნებისმიერი მე-3 პირის ქმედებისაგან (მოქმედება/უმოქმედობა), თუკი ამგვარი პრეტენზია არ გამომდინარეობს მისთვის საიჯარო ქონების გადაცემამდე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობებიდან ან წარმოშობილია მეიჯარის, მისი დაქირავებული პერსონალის ან/და მისი კონტრაქტორების დაუდევრობით;

THOMAS RICHARD BLAKE

4.1.12. იღებს ვალდებულებას შპს „მთაწმინდის პარკს", შპს „თბილისის პარკსა" და შპს „ინტერნეიშენელ ემიუზმენტ პარკს" შორის ნასყიდობის ხელშეკრულების 2.6 პუნქტის შესაბამისად მთაწმინდის პარკის ვიზიტორებს გაუწიოს მომსახურება, მაგრამ არა უმეტეს 605575 (ექვსას ხუთი ათას ხუთასსამოცდათხუთმეტი) ლარის ფარგლებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომსახურების ვალდებულება წარმოშობილია აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე კერძოდ 2012 წლის 19 მარტამდე.

5. მოიჯარის უფლებამოსილება

5.1 მოიჯარე უფლებამოსილია:

5.1.1 სრულად, თავისუფლად და შეუზღუდავად ისარგებლოს საიჯარო ქონებით, მასთან მისასვლელი გზებით და სადგურებით როგორიცაა: სააეტომობილო, საბაგირო (საჭირო არანაკლებ ოთხი საყრდენი ბოძით), ფუნიკულიორი, აგრეთვე, წყლით, ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით და სხვა არსებული საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურის (როგორც მიწის ზედა ასევე მიწისქვეშა) საშუალებებით;

5.1.2 თავისი შეხედულებისამებრ (მხოლოდ მთაწმინდის პარკის პროფილის გათვალისწინებით) განათავსოს გადაცემულ საიჯარო ქონებაზე ინვენტარი და განავითაროს ინფრასტრუქტურა, ამ ხელშეკრულების პირობებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

5.1.3 საიჯარო ქონებაზე, მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელთან შეთანხმებით განათავსოს გარე რეკლამა, გარდა თავის საქმიანობასთან დაკავშირებული მითითებითი აბრის განთავსებისა;

5.1.4 საიჯარო ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის, ქირავნობის, ქვექირავნობის, ქვეიჯარის, თხოვების ფორმით) მესამე პირს მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე, ხოლო საიჯარო ქონების სხვაგვარად დატვირთვა განახორციელოს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით;

5.1.5 საკუთარი დისკრეციით მოახდინოს (გარდა სავალდებულო დაზღვევისა, თუკი ასეთი დადგენილი იქნება საქართველოს კანონმდებლობით) საიჯარო ქონების ან მისი ცალკეული ნაწილების დაზღვევა, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო. ყველა ხარჯზე, რომელიც კი წარმოიშვება სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ანაზღაურების ზევით პასუხისმგებელია მოიჯარე;

5.1.6 მეიჯარის თანხმობის გარეშე გაასხვისოს ან/და ჩაანაცვლოს საიჯარო ქონების მოძრავი ნივთები. იმ შემთხვევაში თუ ჩაანაცვლებს მათ იმაზე ან უფრო მაღალი ხარისხის ან ახალი გამოშვების ნივთებით, ძველი ნივთები დაუბრუნოს მეიჯარეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თაობაზე შეტყობინების მიღების საფუძველზე. მეიჯარის მიერ აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში ხსენებული მიღება ჩაბარების აქტის ნებისმიერი მიზეზით გაუფორმებლობის შემთხვევაში, მოიჯარე უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს დასახელებული ნივთები. მოიჯარის ასეთი ქმედება არ წარმოშობს არანაირ პასუხისმგებლობას.

5.1.7 გაზარდოს აეტოსტრანსპორტო საშუალებების არსებული სადგომის ფართობი 7 000 (შვიდი ათასი) კვ.მ-მდე.

5.2 მხარეები თანხმდებიან, რომ მოიჯარის მიერ კაპიტალური შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ამ უფლების ობიექტზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობები დაიტვირთოს აღნაგობის უფლებით, ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ან ახალი ხელშეკრულების გაფორმების გზით.

THOMAS RICHARD BLAKE

5.3 გარკვეული სამუშაოების ან/და ღონისძიებების გატარებისას (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, გენერალური დასუფთავება ან სხვა) შესაბამისი გონივრული ვადით მოახდინოს პარკის ან მისი ნაწილის, ცალკეული ობიექტის ფუნქციონირების გონივრული შეზღუდვა, დახურვა ან/და შესვლა-შეშვების აკრძალვა ან/და შეზღუდვა.

6. მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობის შეზღუდვა

6.1. მოიჯარე არ ისარგებლებს საიჯარო ქონებით ისე, რომ გაზარდოს მათი დაზიანების რისკი.

6.2. მოიჯარე არ შეინახავს, გამოიყენებს ან განათავსებს რაიმე ნივთს საიჯარო ქონებაში, რაც აკრძალულია მოქმედი ხანძარსაწინააღმდეგო ნორმატივებით და მუდმივად იქონიებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების საშუალებებს.

6.3. მოიჯარემ არ უნდა დაუშვას საიჯარო ქონებაზე ან ამ ქონების გამოყენებით ისეთი საქმიანობა, რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი ნებართვის/ლიცენზიის გარეშე არ გასწიოს ისეთი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს დამატებითი ნებართვის/ლიცენზიის ქონას, ან სხვა რაიმე სახის დამატებით საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას და რაც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების მიზნებს და ეწინააღმდეგება საიჯარო ქონების დანიშნულების ხასიათსა და პროფილს.

7. მეიჯარის ვალდებულებები

7.1 მეიჯარე ვალდებულია

7.1.1 ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონება უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში.

7.1.2 ამ ხეშეკრულების 7.1.1 ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონებასთან და მის სრულფასოვან ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია სრულად.

7.1.3 მეიჯარე ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაგირო გზის და ფუნიკულიორის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია (საპროექტო სამუშაოები, სამშენებლო სამუშაოები, მოწყობილობა-დანადგარების წარმოება, ტრანსპორტირება, მონტაჟი, მოიჯარის შესაბამისი პერსონალის ტრეინინგი და სხვა დაკავშირებული სამუშაოები რათა მოხდეს მისი ექპლუატაციაში მიღება ევრო სტანდარტების შესაბამისად), ექსპლუატაციაში მიღება და საბოლოოდ მოიჯარისთვის გადაცემა უზრუნველყოს შემდეგნაერად:

ა. არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივნისამდე საბაგირო გზის რეაბილიტაციას/რეკონსტრუქციას, ექსპლუატაციაში მიღებას და მოიჯარისთვის გადაცემას (სამშენებლო-სარებილიტაციო სამუშაოებს განახორციელებს შემდეგი ერთ-ერთი კომპანია: Doppelmayr, Leitner, Pomagalski);

ბ. არაუგვიანეს 2013 წლის 1 ივნისამდე ფუნიკულიორის რეაბილიტაციას/რეკონსტრუქციას, ექსპლუატაციაში მიღებას და მოიჯარისთვის გადაცემას (სამშენებლო-სარებილიტაციო სამუშაოებს განახორციელებს Garaventa.

გ. ამ ქვეპუნქტის „ა" და „ბ" წინადადებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოს იმგვარად, რომ საბაგირო გზის და ფუნიკულიორის ტექნიკური გამართულობა წერილობითი ფორმით დადასტურებული უნდა იყოს საერთაშორისოდ ცნობილი მწარმოებელი კომპანიების მიერ (Doppelmayr, Leitner, Pomagalski, Garavanta).

THOMAS RICHARD BLAKE

66

7.1.4 უზრუნველყოს 5.1.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ქონების ჩანაცვლებული მოძრავი ნივთების დაბრუნება და საიჯარო ტერიტორიიდან გატანა ამავე ქვეპუნქტის შესაბამისად (შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე).
7.1.5 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ შეზღუდოს მოიჯარის უფლებები, გარდა ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. მეიჯარის უფლებამოსილება
8.1 მეიჯარე უფლებამოსილია:
8.1.1 მოითხოვოს მოიჯარისგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და დროული შესრულება.
8.1.2 მოითხოვოს და მიიღოს მოიჯარისგან ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული საიჯარო ქირა, ამავე მუხლით დადგენილი გადახდის წესისა და პირობების შესაბამისად.
8.1.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში თავისი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს წერილობით მოსთხოვოს მოიჯარეს წერილობითი ინფორმაცია (ანგარიში) და შესაბამისი დოკუმენტაცია ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ამ ხელშეკრულების 4.1.7 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
8.1.4 მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოსთხოვოს მოიჯარეს ვალდებულების შესრულება, ხოლო ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება და დაიტოვოს საბანკო გარანტია ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გარდა ამ ხელშეკრულების 10.5. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
8.1.5 წელიწადში ერთხელ წინასწარი წერილობითი შეტყობინებით მოითხოვოს საიჯარო ქონების საკუთარი ხარჯით ინსპექტირება მათი ტექნიკური მდგომარეობის და ამ ხელშეკრულების შესაბამისად მოიჯარის ვალდებულებების შესრულების ხარისხის შემოწმების მიზნით. მოიჯარე ვალდებულია დაუშვას მეიჯარის უფლებამოსილი წარმომადგენლები საიჯარო ქონებაზე საკუთარი მეთვალყურეობით. ინსპექტირების შედეგების შესახებ უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი, რომელიც დადასტურებულ უნდა იქნეს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და რომლის ერთი ასლიც უნდა ჩაბარდეს მოიჯარეს.
8.1.6 განახორციელოს საქართველოს ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები;

9. საბანკო გარანტია
9.1. მოიჯარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების 4.1.2. ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიერ ამავე ხელშეკრულების 4.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების (გადახდის გრაფიკებით გათვალისწინებული შესაბამისი გადახდები) უზრუნველყოფის მიზნით, მეიჯარეს წარუდგინოს საქართველოს კომერციული ბანკის ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ქ" წინადადებით განსაზღვრული განვითარებული ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრაფიკების საბოლოო ვადას 2 (ორი) კალენდარული თვით. ამასთან, საერთაშორისო ან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი

THOMAS RICHARD BLAKE

მუხლის „ე" წინადადებით განსაზღვრული განვითარებული ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული საბანკო გარანტია უნდა დამოწმდეს საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ.

9.2 საბანკო გარანტიის მოცულობა ავტომატურად შემცირდება საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების მოიჯარის მიერ შესრულების პროპორციულად, რაზეც მეიჯარე ვალდებულია მოიჯარის მიერ მისი ვალდბულების შესრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს მას საბანკო გარანტია, ხოლო მოიჯარე ვალდებულია საბანკო გარანტიის დაბრუნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოუდგინოს მეიჯარეს ახალი ან პროპორციულად შეცვლილი საბანკო გარანტია ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.3 ამ ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების მოიჯარის მიერ დარღვევის შემთხვევაში მეიჯარე დამატებით აძლევს მას 3 სამუშაო დღეს ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოისლია შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების 11.4 პუნქტის მოქმედება.

9.4 საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია გამოითხოვოს საბანკო გარანტია შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის პროპორციულად.

9.5 10.1 და 13.4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების შეწყვეტისას, ასევე საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულების შემდეგ საბანკო გარანტია მოიჯარეს დაუბრუნდება უკან დაუყოვნებლივ.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ეს ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ვადის ამოწურვით ან მხარეთა შეთანხმებით.

10.2 მოიჯარის მიერ წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირის შესაბამისი პერიოდის ამოწურვის შემდეგ, თითოეულ მხარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ვადაზე ადრე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, რის თაობაზეც 3 (სამი) თვით ადრე წერილობით შეატყობინებენ ერთმანეთს, აღნიშნული მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულებისაგან.

10.3 ამ ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

10.3.1 მოიჯარის ინიციატივით ამ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შესთავაზოს მეიჯარეს თავის სანაცვლოდ ახალი გადახდისუნარიანი მოიჯარე, წინაალმდეგ შემთხვევაში, მას დაეკისრება საიჯარო ქირის გადახდა დარჩენილი საიჯარო პერიოდისთვის სრულად;

10.4 ხელშეკრულების შეწყვეტისას პარკის ტერიტორიაზე აშენებული კაპიტალური შენობა-ნაგებობები გადადის ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში, ხოლო მოიჯარის კუთვნილი დროებითი კონსტრუქციები (ატრაქციონები, ინვენტარი, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, და სხვა მოძრავი ქონება) რჩება მოიჯარეს. მოიჯარე ვალდებულია დააბრუნოს საიჯარო ქონება მისი ჩვეულებრივი ცვეთის გათვალისწინებით, ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ როგორც მინიმუმ ის უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, როგორიც

Deniza Vartanov

THOMAS RICHARD BLAKE

ფაქტობრივ მფლობელობაში გადაეცა მოიჯარეს ჩვეულებრივი ცვეთის და ამორტიზაციის გათვალისწინებით.
10.5 დაუშვებელია ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის მიერ მისი ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე იმ შემთხვევაში თუ მეიჯარის მოთხოვნა უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიით.

11. ხელშეკრულების არსებითი დარღვევა და მხარეთა პასუხისმგებლობა
11.1 ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვალდებულებათა არსებით დარღვევად განიხილება ქვემოთ მითითებულ ვალდებულებათა დარღვევა და ამ ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ დარღვევის აღმოფხვრის მიზნით წინასწარი გაფრთხილების მიცემის გზით, ამასთან ამ ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია თუ მოიჯარის მხრიდან ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა (არაარსებითი ხასიათისაა).
11.2 ხელშეკრულების დარღვევა მოიჯარის მიერ
11.2.1 ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით, 4.1.1 და 4.1.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების სრულად შესრულებამდე, ამასთან:
ა. მოიჯარეს უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, რომელიც არ შეიძლება იყოს 30 (ოცდაათ) კალენდარულ დღეზე ნაკლები;
ბ. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.
11.2.2 ამ ხელშეკრულების 4.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში:
ა. მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;
ბ. მოიჯარეს უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, რომელიც არ შეიძლება იყოს 20 (ოც) კალენდარულ დღეზე ნაკლები.
გ. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.
11.2.3 ამ ხელშეკრულების 4.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში:
ა. მოიჯარეს უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად (კონკრეტული დარღვევის დეტალური აღწერა-მითითებით), რომელიც არ შეიძლება იყოს 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები;
ბ. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.
11.2.4 ამ ხელშეკრულების 4.1.5. და 4.1.9. ჰქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში:
ა. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის მოთხოვნისთანავე აღმოფხვრას დარღვევა;
ბ. მეიჯარის მხრიდან განმეორებით აღნიშნული ვალდებულების მოთხოვნის შეუსრულებლობა მეიჯარეს ანიჭებს უფლებამოსილებას შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

Thomas Richard Blake

11.2.5 ამ ხელშეკრულების 4.1.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში:

ა. მოიჯარეს უნდა განესაზღვროს დამატებით 10 (ათი) კალენდარული დღიანი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად;

ბ. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და განმეორებით მიეცემა იგივე ვადა დარღვევის გამოსასწორებლად;

გ. განმეორებით მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

11.2.6 ამ ხელშეკრულების 4.1.7 და 4.1.8 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში:

ა. მოიჯარეს უნდა განესაზღვროს დამატებით 10 (ათი) კალენდარული დღიანი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად;

ბ. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და განმეორებით მიეცემა იგივე ვადა დარღვევის გამოსასწორებლად;

გ. განმეორებით მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება;

დ. თუ ამ ხელშეკრულების 4.1.7 ქვეპუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი დოკუმენტი დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ მოიჯარე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს მეიჯარეს და ასეთ შემთხვევაში წინამდებარე ქვეპუნქტის „ბ" წინადადებით განსაზღვრული ვადის ნაცვლად მოიჯარეს მიეცემა დამატებით გონივრული ვადა დოკუმენტის აღსადგენად ან სხვა ფორმით მოსაძიებლად. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა თუკი მოიჯარე სხვაგვარად (მეიჯარისთვის დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე) დაადასტურებს ვალდებულებების შესრულებას.

11.2.7. ამ ხელშეკრულების 4.1.12 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში:

ა. მოიჯარეს დაეკისრება პირგასამტეხლო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით და მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის მოთხოვნისთანავე აღმოფხვრას დარღვევა.

11.3 ამ ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების მეიჯარის მიერ შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მოიჯარეს მიყენებული ზიანი სრული მოცულობით.

11.4 ამ მუხლით დადგენილი წესით ამ ხელშეკრულების შეწყვეტისას, დამრღვევ მხარეს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი თანხები ან/და მის მიერ პარკის ტერიტორიაზე განთავსებული ქონება, ამასთან დამრღვევ მხარეს უფლება არ აქვს მოითხოვოს ზიანის, კომპენსაციის ან სხვა ნებისმიერი სახის ანაზღაურების მოთხოვნა როგორც ფულადი ფორმით, ასე ნატურით.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეები ყველა ზომას მიმართავენ იმისათვის, რომ ნებისმიერი სადაო საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით დავის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში.

12.2 ნებისმიერი დავა, პრეტენზია, საჩივარი, რომელიც კი წარმოიშვება ამ ხელშეკრულებიდან და მისი ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, მათ შორის ამ ხელშეკრულების არსებობასთან, აღსრულებასთან, კანონიერებასთან, შეწყვეტასთან

THOMAS RICHARD BLAKE

ან/და რაიმე სახის დარღვევასთან დაკავშირებით, რომლებიც კი ვერ გადაწყდა 12.1 პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების გზით, გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

12.3 ეს ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან, ასევე ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, ანუ ისეთი გარემოებებით, რაც მათ კონტროლს არ ექვემდებარება, როგორიცაა (მაგრამ არ შემოიფარგლება) ომი, სამხედრო მანევრები, სტიქიური უბედურებები, გაფიცვები, გზის გადაკეტვა, ნორმატიული აქტები და სხვა ხდომილებები.

13.2 მხარე, რომლისთვისაც ამ ხელშეკრულების 13.1. პუნქტში აღნიშნული გარემოებების გამო შეუძლებელია ვალდებულების შესრულება, ვალდებულია მეორე მხარეს შეატყობინოს ამის შესახებ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში (თუ ასეთი შეტყობინება შესაძლებელია გაკეთდეს კონკრეტული ფორს-მაჟორული გარემოების ხასიათიდან გამომდინარე), მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი გახდა, ან უნდა სცოდნოდა ასეთი ვითარების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს არ შეუძლია მიუთითოს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით.

13.3 მხარე, რომელიც მიუთითებს ფორს-მაჟორზე გათავისუფლებული იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შეიზღუდა მისი საქმიანობა ფორს-მაჟორული მოვლების მოქმედების გამო და შედეგად და არ იქნება გათავისუფლებული ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც არ იქნა შეზღუდული ფორს-მაჟორული მოვლების მოქმედების გამო და შედეგად.

13.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული ვითარება გაგრძელდა მისი დადგომიდან 60 (სამოცი) დღეზე მეტ ხანს, თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, მეორე მხარისთვის ასეთი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ ხელშეკრულების ასეთი შეწყვეტა არ წარმოშობს რაიმე ვალდებულებას ან/და პასუხისმგებლობას რომელიმე მხარისთვის.

14. დასკვნითი დებულებები

14.1 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაშვებულია, მხოლოდ წერილობითი სახით მხარეთა ორმხრივი ხელმოწერის საფუძველზე.

14.2 ამ ხელშეკრულების ყოველი დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

14.3 ეს ხელშეკრულება (ამ ხელშეკრულებების პირობები) ექვემდებარება საჯარო რეესტრში საკალდებულო რეგისტრაციას.

14.4. ამ ხელშეკრულების სათანადო წესით ძალაში შესვლასა და ამოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა და ნებისმიერ ხარჯს, მათ შორის ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლის (თუკი ასეთი განხორციელდა) ხარჯებს, ამ ხელშეკრულების რეგისტრაციის ჩათვლით გაიღებს მოიჯარე.

14.5 ეს ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამ ხელშეკრულების 2 (ორი) ეგზემპლარი გადაეცა მეიჯარეს,

ჯ. ნ. ს. ტ. ი. ნ. ე. ჯ. ჯ. ჯ. ჯ.

THOMAS RICHARD BLAKE

ოლო 2 (ორი) ეგზემპლარი – მოიჯარეს. ამ ხელშეკრულების ქართულ და ნგლისურ ტექსტებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების ქართულ ტექსტს.

14.6 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ მათ გააჩნიათ სათანადო უფლებამოსილებები გააფორმონ ეს ხელშეკრულება და ამ გარიგებით არ არღვევენ რაიმე სხვა გარიგებას, მესამე პირების უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, ასევე რომელიმე კანონს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს ან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

